გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა-დასაბეჭდად უნდა მიჭმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკიისეულ სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთა სახლის სახლებში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ სედის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—8)

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 16 სექტემბერს დილით იყო 1 ავადმყოფი, რომელიც იმ დღესვე გარდაიცვალა.

თელავის მაზრის სოფ. ძველს გავაზში 8 სექტემბერს ავად გახდა 1, 9 სექტემბერს—3, 10 სექტემბერს—2; სოფ. ჩიკაანს 7 სექტემბერს ავად გახდა 2; ახალ-გავაზში 10 სექტემბერს ავად გახდა 1. 1—10 სექტემბერს სოფლებში ავად გახდა სულ 23, გარდ. 6.

გორის მაზრაში 10—13 სექტემბერს ავადგახდნენ: ხაშურში 1; ახრისში გარდაიცვალა 1, ავადმყოფნი არ არიან; ბერშუეთს გარდ. 1, მორჩა 2, ავადმყოფები აღარ არიან; ქვემო ჭალას გარდ. 2, ავადმყოფნი აღარ არიან; სამთავისს გარდაიცვალა 1, ავად აღარავინ არის; ახალუბანს ავად გახდა 2, გარდ. 1; ზემო-გომს 9—13 სექტემბერს კარგად გახდა 5, გარდ. 2, დარჩა 4; ბორჯომს ახლად აღარავინ გამხდარა ავად, ავადმყოფია 2.

ახალქალაქის მაზრის სოფლებში 14 და 15 სექტემბერს ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდ. 1, დარჩა 8; ახალქალაქს ამავე დროს ავად არავინ გამხდარა, მორჩა 1 ⸗ დარჩა 5 ავადმყოფი.

ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ ბ-ნ ი. ვაჩნაძისაგან პიატიგორსკში შეკრებილი 7 მან. 50 კაპ. ამ ფულისა გვქონდა 1001 მან. 85 კაპ., ამითი შესდგა 1009 მან. 35 კაპ.

*** ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, ტფილისის მიხეილის სამკურნალოში იყო ერთი ავადმყოფი; სხვა აღარავინ მიუყვანიათ.

*** გორის მაზრაში: ბორჯომს 8—12 სექტემბერს ავად გახდა 1, წინად იყო 2; 7—9 სექტემბერს სოფელს ზემო-გომს ავად გახდა 6, გარდ. 2, ავად არის 8, სოფელ ზემო-ჭალას ავად გახდა 5, გარდ. 2, ავად არის 3; სოფ. ახალუბანს 9—14 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდ. 1, ავად არის 1; ს. ზერტას მორჩა 1, ქვემო-ჭალას ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 2; ს. ბერშუეთს ავად გახდა 7, გარდ. 4, მორჩა 3; სამთავისს გარდ. როსტომ ჭორალიძე; სოფ. კარბს ავად გახდა 2, გარდ. 1, ავად არის 2, მორჩა 2; მარანას ავად გახდა 2, გარდ. 1, ავად არის 1; კოდის წყაროს ავად გახდა 1, ავად არის 1.

*** გორის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო აცხადებს, რომ ახლად გასაწვევ ჯარის-კაცთათვის კენჭის ყრა იქნება: ჯავას 1 ნოემბერს, ცხინვალს—10 და ხაშურს—20 ნოემბერს, ხოლო გორში—7 დეკემბერს.

*** თიანეთის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო აცხადებს, რომ იგივე კენჭის ყრა იქნება თიანეთს 5 ოქტომბერს.

*** სახლების ხელ-მეორედ დეზინფექციას გაათავებენ ერთის თთვის შემდეგ, რადგანაც დღეში 12—15 სახლზედ მეტს ვერ უკეთებენ დეზინფექციას. ამ ჟამად დეზინფექცია სწარმოებს ავლაბარში.

*** სპარსელთათვის დაარსებულ ხოლერიანთა ფარდულის მკურნალმა ისტამანოვმა წარუდგინა ანგარიში სპარსეთის ელჩს ტფილისისას. ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამ ფარდულში სულ 25 კაცი ყოფილა ავადმყოფი, იმათში 14 გარდაცვლილა, 11 მორჩენილა.

*** მესამე განყოფილების მომრიგებელმა - მოსამართლემ ი. წინამძღვრიშვილმა გადუწყვიტა 50 მან. ჯარიმა ქვრივს ეკატერინე თაიროვისას, რადგანაც იმან თავის სახლის წინ ქვაფენილი არ გააკეთა. იმანვე გაარჩია საქმე სერგეი კარაპეტოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სახლის უსუფთაოდ შენახვა, და ერთის თთვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

*** უწმიდესმა სინოდმა ნება დართო მონასტრებს, შეეძლიანთ სკოლები გაჰმართოთ გლეხთათვისაო.

*** 15 სექტემბერს ტფილისის ქალაქის საბჭომ განიხილა სხვათა შორის მოხსენება გამგეობისა, რომ კიდევ გადადებულ იქმნას ფული ხოლერასთან საბრძოლელად. წინად ქალაქმა გადასდო სულ 46,000 მან., შემდეგ 4,000 მან. დაჰხარჯა დროებით გამართულ საყასბოს მოსაწყობად, სულ 50,000 მან. მაგრამ ამ ფულმა არ იკმარა. 1 სექტემბერს ამ ფულისა არამც თუ აღარა დარჩა-რა, კიდეც მეტი დახარჯულიყო 213 მან. 40 კაპ., ხოლო რადგან ჯერ ხოლერა სრულიად არ განელებულა და შესაძლოა, კიდევ იჩინოს თავი მეტის ძლიერებით, ვიდრე ამ ბოლოს დროს იყო, საჭიროა ფული 12,000 მანეთამდე. იქნება ეს ფული სულ არ დაიხარჯოს, მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ეს ფული საჭიროა: დეზინფექციის წარმოების გასაძლიერებლად 750 მან., სადეზინფექციო წამლებისათვის 1,200 მან., დასაწველ ნივთების ჯილდოდ 2,000 მან. (ამაში 1,500 მან. უკვე დაიხარჯა წინადვე), საყასბოსათვის—960 მან. დანარჩენი ფული საჭიროა მკურნალთათვის და სხვ. ამასთანავე ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, რომ მკურნალთა რიცხვი 1 სექტემბრიდამვე შემცირებულ იქმნასო. ამ უკანასკნელმა გარემოებამ დიდი ბაასი და კამათი გამოიწვია. ერთნი უსაყვედურებდნენ გამგეობასა და მოურავს, რად დაითხოვეთ მკურნალნი, საჭირონი არიან ჯერ ისევაო, მეორენი ამართლებდნენ გამგეობას. დასასრულ კენჭი იქმნა ჩამოტარებული და საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით შეიწყნარა მოხსენება გამგეობისა. კრება გათავდა ღამის 11 საათზედ.

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი, ტაინი სოვეტნიკი კ. პ. იანოვსკი გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** მარელისს ახლოს ჩამოწოლილი მიწის ზვავი გუშინ გაასუფთავეს. მატარებლები, როგორც საფოსტო და სახალხო, აგრეთვე საქონლისა, ეხლა დაუბრკოლებლივ დადის ბათუმსა და ტფილისს შუა.

*** ახალციხიდგან იუწყებიან, რომ მაზრაშიხოლერა მოსპობილა და ამის გამო, რაც ექიმები იყვნენ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მიერ იქ გაგზავნილნი, ამ ჟამად უკვე დაუთხოვნიათ. ქალაქს მარტო ერთი ექიმი-ღა დაუტოვებია.

*** ტფილისის საჩაიების ანგარიშიდგანა სჩანს, თუ რამდენი დახარჯულა ექვს უსასყიდლო საჩაიესა და ერთს უსასყიდლო სასადილოზედ, რომლებიც ბ-ნ პოლიცმეისტრის მიერ იყო გამართული. ამ თთვის 15-მდე უსასყიდლო საჩაიების და სასადილოს გასამართად ბ-ნ პოლიცმეისტრის კანცელარიაში სულ 5520 მან. და 14 კაპ. შემოსულა შესაწევარი. ამ ფულისაგან ექვსის მუქთა საჩაიეს გამართვასა და მოსამსახურეების ჯამაგირზედ დახარჯულა 723 მან. 95 კ. ამას გარდა, საჩაიებისთვის უყიდნიათ: 181 ფუთი შაქარი 1302 მან. და

ფელეტონი

ძველს ქვეყნებში

(მგზავრის წერილები)

I

ვენიდგან უდინოს.—ფრიულო და ფრიულოს ალპები.—ვენეცია.

(დასასრული *)

დიდის სიამოვნებით აღვსილი ჩავჯექ შავს, მშვენიერის ჩუქურთმებით მოხარატებულს გონდოლაში, რომელიც ცხადად მოგაგონებთ ძაძით შემოსილს კუბოს და რომელიც ასე ხოტბა შესხმულია მგოსანთაგან. ვინც იცის ვენეციის ისტორია, ეცოდინება ისიც, თუ რა ადგილი ეჭირა გონდოლას ვენეციის ცხოვრებაში. გონდოლებში სხდებოდნენ ძველად ვენეციის რაინდნი, როდესაც სალაშქროდ მიემგზავრებოდნენ. გონდოლებით მიდიოდნენ დიდებულნი „დიდს საბჭოში“, გონდოლებით მიჰყავდათ და დღესაც მიჰყავთ ბავშვები ეკკლესიებში მოსანათლად, გონდოლებით მიასვენებდნენ მიცვალებულთ სასაფლაოზედ, გონდოლებით მიჰყავდათ სიკვდილით დასასჯელნი, გონდოლებით დასეირნობდნენ არშიყნი და მიჯნურნი მთვარიანს ღამეებში, ნიღაბოსანნი (მასკები) ყველიერში და მგოსანნი და მხატვარნი, რათა ეგრძნოთ, როგორც იტყვიან, უნეტარესი სიამოვნება. რა მრავალფეროვანის ცხოვრების სურათს არ დაგიხატავს ოცნება, როდესაც დაუკვირდები გონდოლას მნიშვნელობას!

რამდენი მწარე ცრემლი გადმოვარდნილა თვალთაგან ამ საიდუმლოებით მოცულს ნავებში, რამდენს გულს უფეთქია აქ, თუ განწირულებაში ჩავარდნით, თუ სიხარულით გატაცებულს? რამდენი სიტყვა წარმოთქმულა აქ მძულვარებისა, შურისა, რამდენის კაცის გულს უძგერია ალერსიანისა ⸗ნაზის სიტყვების გაგონებით! რამდენი არსება დამთვრალა ამ ნეტარებით, რამდენი ცხარე, გატაცებული ჩურჩული ყოფილა აქ, რამდენს ვნებით აღტყინებულთ კოცნას დაურღვევია აქ სიჩუმე! გონდოლაა დაფარული და მარჯვე ადგილი მიჯნურთა ერთმანეთის ნახვისა, ერთმანეთთან დროს გატარებისა, იგი ადგილია კოცნისა, ხვევნა-ალერსისა. გონდოლა ზღვაში მარდად მცურავი პატარა ოთახია პატარა ავ ფანჯრებით და შავის სახურავით. გონდოლებში მოსეირნეთა დანახვა და დათვალიერება შეუძლებელია ჯერ დღისით და მით უფრო ღამე.

„დიდი არხი“ (canale grande) გაყვანილია რკინის გზის სადგურიდგან ქალაქის ბოლომდე. მის ნაპირებს ამშვენებს მდიდრულად მორთული და კოპწია სასახლეები დიდებულთა; ლურჯად მოკამკამე წყალი განუწყვეტლივ ეჩქაფუნება მარმარილოს განიერ კიბეებს, რომლითაც კაცი ადის იმ საიდუმლო, სანებივრო და სამედიდურო სამყოფელს, სადაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში სდღედა და გადმოდიოდა დიდებით მოსილი და სიმდიდრით სავსე ცხოვრება. ვინ იცის, რა ფიქრი არ გაიტაცებს თქვენს გონებას, როცა დაინახავთ „ადრიატიკის დედოფლის“ ძველ, სახელოვან გვართა ჩინებულ, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან შეშავებულ-დახავსებულ სასახლეებს! თქვენ თითონ მიხვდებით, რა საუცხოო და სასიამოვნო სანახავი იქნებოდა ეს არხი ძველად, დღესა ვენეციის გამარჯვებისასა, და ან კიდევ საყველივროდ, როდესაც ათასობით გონდოლა მოეფინებოდა ზღვას და შიგ მსხდომნი დართულნი და დაკმაზულნი სიმღერითა და მუსიკით ეძლეოდნენ მხიარულებასა და მალ-მალ არშიყნი მოსეირნენი ჩააცურებდნენ თავიანთ გონდოლებს იმ ფანჯრებთან, საიდგანაც გადმოიყურებოდნენ ლამაზნი, მხიარულნი და გულის-თქმათა ამყოლნი ასულნი ვენეციისანი. ადვილად წარმოიდგენს კაცი ამ სურათს, თუმცა აწინდელი ცხოვრება მოკლებულია ძველებურს სიდიადეს და მხოლოდ შეუნახავს ლაზათი. ფანჯრებში ძველებურადვე მოსჩანან თვალისა და გულისა დამატყვევებელნი, ვისთვისაც არ დაიშურა პაოლო ბერონცემ თავისი სამხატვრო კალამი; ზედ გიალტოზე მიდიმოდიან იგივე საროს ტანის და მშვენივრად მორთულ-მოკმაზულნი ვენეციელნი ქალნი, როგორც ბაირონის დროს ქ-ნნი გოლდონი, დე-სტაელი, გოცცი და სხვ.

საუკეთესო და სიცოცხლით სავსე ალაგი ვენეციისა გახლავთ წმ. მარკოზის მოედანი (Piazza di San Marco), რომელიც დამშვენებულია ტაძრითა და დოჟთა სასახლით. ამ უშველებელ მოედანს თამამად შეგვიძლიან დარბაზი ვუწოდოთ, სადაც მუდამ ჟამს იკრიფება მთელი საზოგადოება ვენეციისა. მოედანი დაფენილია თლილის ქვით და სამ მხრივ შემორტყმულია კამარა-შეკრულ სვეტებით. აქ კაცს შეუძლიან სიცხესა

*) იხ. „ივერია“, № 196.

15 კაპ., 5 ფუთი და 3 გირვანქა ჩაი—257 მან. და 52 კაპ., 578 ფუთი და 24 გირვანქა პური—693 მან. და 65 კაპ., 270 ფუთი ყინული აღუღებულის წყლის გასაციებლად—92 მან. და 11 კაპ., 6 საჟენი შეშა—222 მან., 1492 ბოთლი ღვინო—167 მან. 50 კაპ. და სხვა წვრილი ხარჯი—34 მან. და 97 კაპ. საჩაიებზედ ამ გვარად სულ 3492 მან. და 85 კაპ. დახარჯულა, ე. ი. თითო ჭიქა ჩაი პურით $^{2}/_{5}$ კაპ. დამჯდარა.

უსასყიდლო სასადილოს გამართვაზედ, მზარეულის ჯამაგირისა და სხვადა-სხვისთვის სულ 363 მან. და 23 კაპ. დახარჯულა. ამას გარდა, უყიდნიათ: 212 ფუთი და 10 გირვანქა ხორცი—652 მან. და 30 კაპ., 386 ფუთი და 10 გირვანქა პური—463 მ. 70 კაპ., ბრინჯი—6 მან. და 78 კაპ., მარილი—4 მან. და 96 კაპ., მაკარონი და ვერმიშელი—18 მან. და 73 კაპ., ზეთი—1 მან. და 72 კაპ., კარტოფილი, კომბოსტო, ოქროვაშლა ჭ სხვა მწანილეული—35 მან. და 29 კაპ., შეშა—100 მან. და 47 კაპ. და სხვა წვრილმანი—15 მან. და 63 კაპ. სულ უსასყიდლო სასადილოზედ დახარჯულა 1,662 მან. და 81 კაპ., უსასყიდლო სასადილოს გამართვიდგან (23 ივლისს) გაუქმებამდე (15 სექტემბერს) მუქთად პური უჭამია სულ 23,496 კაცს, ე. ი. თითო სადილი სულ $6^{1}/_{2}$ კაპ. დამჯდარა.

ამას გარდა, 5,520 მან. და 14 კაპეიკიდგან ხუთი თუმანი ბ-ნმა პოლიციმეისტერმა დაურიგა ხოლერისაგან დაზიანებულთა გლეხთ და ხუთი თუმანიც მანვე მისცა მალაკნების უსასყიდლო საჩაიეს შესაწირავი. მაშასადამე, ამ ფულიდგან 15 სექტემბერს სულ 263 მან. და 48 კაპ. დარჩა.

*** ბაქოდგან დაბრუნდა ტფილისს ამ დღეებში ხოლერის მოსპობის გამო იქ გაგზავნილი მკურნალი ბ-ნი ხოპერია.

*** ქუთაისიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ამ ბოლოს დროს ხოლერა უფრო გაძლიერებულა ქუთაისში, ხოლო სოფლად ძლიერ განელებულა.

*** ს. მეღვრეკისი (გორის მაზრა): თუმცა ყველასაგან დავიწყებული და თავ-მინებებული იყო ჩვენი სოფელი, გარდა ხოლერისა, რომელმაც აგვისტოს დამდეგამდე გამოგვაცალა 24 სული. 3 აგვისტოს აქეთ ჩვენში აღარავინ იყო ავად ხოლერით.

თუმცა მოვიშორეთ ხოლერა თავიდგან (ჩვენ კი არა, თითონ მოგვშორდა), მაგრამ ერთი გარემოება გვაწუხებს. ჩვენი სასმელი წყალი საზოგადოებამ გამოიყვანა ცხინვალის ზემოდგან, დიდ ლიახვიდგან. როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ. წყაროებს გარდა, სასმელად ბევრი არ უნდა სჯობდეს ჩვენს დიდ-ლიახვს, მაგრამ სრულიად გვიფუჭებენ ამ წყალს სოფელ ერგნეთის მცხოვრებნი, რომელნიც ჩვენის სოფლის ზემოდ მოსახლობენ. თუ ვინმე გაუხდათ ავად ერგნელებს სახადით, ან სხვა ავადმყოფობით, მორჩება ავადმყოფი, თუ გარდაიცვლება, იმის ლოგინს ასწევენ, ჩაჰყრიან ჩვენს წყალში და გდია შიგ ორის-სამის კვირით, ვიდრე სოფელში ავადმყოფობა არ განელდება. წელსაც ერგნეთში ერთი გლეხი, მიხეილ დოიჯაშვილი, გარდაცვლილა ხოლერით და იმის ლოგინი წყალში ჩაუყრიათ. მესამე თუ მეოთხე დღეს ცხინვალიდგან ჩამოევლო ერთს ჩაფარს, თვალი მოეკრა ამ ლოგინისთვის და იქვე მდგომ ქალისათვის ეკითხა: დედი, ეს ლოგინი ვისიაო? იმ დღეს რომ ხოლერით დოიჯაანთ მიხა მოკვდა, იმისიაო. ჩაფარს მამასახლისისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი ოქმის შესადგენად, და შემდეგ აღარ ვიცით, რითი გათავდა საქმე. საჭიროა სასტიკად აიკრძალოს ავადმყოფთა ლოგინის მდინარე წყალში დალბობა, რადგანაც, ხოლერა რომ არ იყოს, ამ გზით შეიძლება სხვა რაიმე გადამდები სენი გავრცელდეს მახლობელს სოფლებში.

*** უკარელი (თელავის მაზრა): აქაურებს არც-კი სჯერათ, თუ ხოლერა არის სადმე. სხვა სოფლიდგან რომ მოვიდეს ვინმე, მაშინვე ჰკითხავენ: „მართლა ხოლერა გაჩენილაო“. ამ ცოტა ხანში თითქმის გარშემო შემოერტყა თელავის მაზრას ხოლერა, მაგრამ მაინც შიში არავის ჰქონია. ხოლერის მოლოდინმა მარტო სისუფთავეს შეგვაჩვია. ეხლა ყვარლის ეზოები და ქუჩები თითქმის ყოველ დღე იგვება და ნაგავს ბევრით ეზიდებიან: რიგ-რიგით აბამენ ურემს და ისე გააქვთ სოფელს გარედ. მადლობის ღირსია აქაური სანიტარი ბ-ნი ს. მაყაშვილი, რომელიც მდინარე წყლებში იხვებსა და ბატებსაც-კი არ აშვებინებს, რომ სოფელს თავიდგან ბოლომდე წმინდა წყალი ჰქონდეს სასმელად.

*** უჯარმა (ტფილისის მაზრა): 12 სექტემბერს, შუადღისას, უჯარმის გზის სადგურთან ერთი საზარელი უბედურება დატრიალდა. თელავიდგან მომავალმა მგზავრმა ბ-ნმა ანდრია ხუცაიძემ ხმლით მუცელში დასჭრა სასიკვდილოდ თავისი თანამგზავრი, ნუხში ახლად დიაკვნად გამწესებული ზაქარია გაგუნაშვილი. აი საქმე როგორ იყო: საუზმის შემდეგ ხუცაიძე თავის თანამგზავრებით უნდა ქალაქისკენ გამგზავრებულიყო. სადგურში სამისა თუ ოთხის ცხენის მეტი არ იყო. ეტლი დაუმზადეს და ბარგი რომ დაუწყეს, ამ დროს უცებ სადგურში მოვიდნენ საფოსტო ეტლებით აფიცრები, რომლებიც სახელმწიფო საქმისთვის მიემგზავრებოდნენ თელავისკენ. ეტლი უნდა აფიცრებისთვის დაეცალათ და ბარგს გადმოწყობა რომ დაუწყეს, დიაკვანი გაგუნაშვილი გაჭირვეულდა: „არა, ჩვენ წინად მოვედით, ეტლი ჩვენ გვეკუთვნის, ბარგს არ გადმოგაწყობინებთო“. ასტეხა ჩხუბი და დავიდარაბა. იმისმა თანამგზავრმა ხუცაიძემ მოავლო ხელი გაგუნაშვილს და ტკბილის საუბრითა და ფერაობით გააცალა აფიცრებს. გაგუნაშვილმა ახლა ხუცაიძეს დაუწყო ჩხუბი და ლანძღვა. ხუცაიძემ ვერ მოუთმინა გაგუნაშვილს ასეთის უშვერის სიტყვებით ლანძღვა და შესაშინებლად ამოიღო ხმალი და თან შეუტია: „მომშორდი, თორემ დაგარტყავო“. ნასვამი გაგუნაშვილი დაბარბაცდა და იმისკენ გაწვდილს ხმალზედ მუცლით აეგო. ხუცაიძემ, მკურნალის რჩევით, დაჭრილი გაგუნაშვილი ტფილისის სამკურნალოში გაისტუმრა; თითონ-კი სართიჭალის ბოქაულთან გაემგზავრა გამოსაცხადებლად. როგორც გავიგეთ, გაგუნაშვილი უკვე გარდაცვლილა ტფილისში.

*** ქუთაისი: 3—11 სექტემბრამდე ქუთაისში ხოლერით ავად გამხდარა სულ თერთმეტი: გლეხი ივანე ფურცხვანიძე, მოქალაქე ივანე დოვლაძე, ბერძენი მახარ-ჰუნერ-ოღლი, მოქალაქე ირაკლი ვარდანაშვილი, გლეხის ქალი ნატალია გაბუნია, გლეხის ქალი მატრონა ქორთუა, გლეხი გიორგი ყურაშვილი, ვასილ გოლოვატინი (ხუთი წლის ბავშვი), უნტერ-აფიცრის ცოლი ქრისტინა ფაყულოვი, ოსმადი-მუსტაფა-სურატოღლი, ქუჩის დარაჯი ალექსი კაპანაძე. ხუთს სექტემბერს გარდაიცვალა ივანე ფურცხვანიძე და მახარ-ჰუნერ-ოღლი, 10-ს სექტემბერს მორჩა ივანე დავლაძე.

*** დუშეთი: აქ ოც აგვისტოს გაიმართა ბ-ნ ვლადიმერ დაფქვიაშვილის თაოსნობით ქართული წარმოდგენა დუშეთის დედათა სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედია იაკობიძისა „ევ. ევ. ზანზალოვი“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ბილეთები სულ გაიყიდა. ხარჯს გარდა, ნაღდი ფული დარჩა 60 მან., რომელიც გარდაეცა დუშეთის მაზრის უფროსს ბ-ნ ჩეხოვსკის.

*** რაჭა: ხოლერა ჩვენში თითქმის აღარ არ არის. წინადაც არ იყო გაძლიერებული, მაგრამ ხალხიკი მაინც საშინლად იყო შეშინებული. ხოლერას-კი გადავრჩით, ასე იყო თუ ისე, მაგრამ სიმშილობა-კი გვხოცავს სწორედ. სოფლებიდგან შიშით არა შემოაქვთ-რა ამ ჟამად ონში. ძალიან სჩივიან საწყალი ონელები: არც კვერცხი, არც ერბო და არც სხვა სანოვაგე საშოვარი არ არისო. რაც იშოვება, ისიც ძლიერ ძვირიაო.

ამინდი შეიცვალა აქეთ, ღამ-ღამობით და დილით საშინელი სიცივეები დადგა, დღისით ისევ სიცხეებია. როგორც ისმის, მოსავალი მცირე იქნება.

*** წელს ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკიდგან ჩამოუტანიათ ჩვენს ვაჭრებს იმდენივე საქონელი, უფრო ფარჩეული, რამდენიც შარშან, ესე იგი მილიონ ნახევარ მანათისა („Т. Л“).

*** 16 სექტემბერს კოჯორის დალბართზედ ფოსტის ეტლში შემჯდარი ცხენი ჩაიქცა. ცხენი უტლიდგან გაძოხსნეს და ეს დროს ერთს ნაჯარის-კაცალს, პეტრე ნიკიტინს, უკბინა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს სურბ-კარაპეტის ქუჩაზედ მიწა მოირღვა და გიორგი ხიოთაროვის სამზარეულოს დაეცა. უბედურება არა მომხდარა.

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მილიციის შოდშოლკოვნიკი ლეკან კვაშალი.

დანიშნულ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უმცროს მოსულად მღვდლის შვილი ვლადიმირ სალარიძე.

ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე, კოლეგესკი სეკრეტარი ეფრემ სიმონოვი დანიშნულ იქმნა მეტ ჯამაგირიან ადგილზედ. ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე, კოლეგესკი რეგისტრატორი პეტრე ცივცივაძე გადაყვანილ იქმნა სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დანიშნულ იქმნა სარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტში კურსდამთავრებული ალექსანდრე მირიქოვი სამოსამართლო თანამდებობის კანდიდატად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე იასონ ჩიკვაიძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. «С.-Петер. Вѣдомости» იმედოვნებს, რომ ამ მცირე ხანს შემდეგ დიდი ცვლილება უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროშიო. გაზეთი ამბობს, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ნათლად დამტკიცდა, თუ რისგან წარმოსდგება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტები. უწინ ეგონათ, რომ დეფიციტების ასაცდენად საკმარისია მხოლოდ სახელმწიფო შემოსავალს მოუმატონ, ხალხს

და წვიმაში ისეირნოს, ან სხვაფრივი სიამოვნება მიიღოს. მუდამ საღამოს აქ ჰნახავთ ვენეციის მაღალს საზოგადოებას. აქა სეირნობენ ყმაწვილნი კაცნი, შთამომავალნი ვენეციის განთქმულ პატრიციებისა, და საუცხოოდ მორთულნი, შესახედავად ზვიადნი, მაგრამ გულ-უბრყვილო და კდემა-მოსილნი ასულნი ვენეციისანი. თვალად ეს კეკლუცნი ორ ნაირნი არიან: ერთნი შავ-თვალ წარბანი და შავგვრემანები, მეორენი-კი—თეთრყირმიზნი და ქერა თმიანები; საერთოდ მათი მშვენება დიდრონი შავი თვალები და მწყერივით ლამაზი გოგმანია. ჩემის ფიქრით, მათ შორის ასეთივე ორ ნაირობაა ხასიათითაცა. შევცქეროდი დღევანდელს ლამაზებს და მაგონდებოდა ის ორი ასული ვენეციისა, რომელთაც თავიანთის სილამაზით არა ერთისა და ორის გული მოხიბლეს და დაატყვევეს და ხასიათით-კი სრულიად არა ჰგავდნენ ერთი-ერთმანეთს. დიახ, ვენეციის კეკლუცთა შორის ბიანკო კაპელა და გრაფინია გვიჩჩიოლი არიან სრულიად განხორციელება ვენეციელ ქალთა ასეთის ორ-გვარის განსხვავებისა სახითა და ხასიათით. პირველი გახლდათ თვით-მოყვარე, ცბიერი და ვნებათა ღელვის ამყოლი, ჰქონდა ხასიათი მამაკაცისა და იყო მედიდური. ბიანკო, იმდენად სილამაზით არა, რამდენადაც ცბიერობით და სხვადა-სხვა თვალთმაქცობით, გახდა მეუღლე ფლორენციის მფლობელ მედიჩისა. მეორე იყო ინგლისის გამოჩენილ მგოსნის ბაირონის სატრფო. მთელი მისი არსება განმსჭვალული იყო მომხიბლავის სინაზითა და კაცთა გულ-გონების დამატყვევებელის სიკეკლუცით. რამდენიმე სურათი ვნახე ბიანკო კაპელასი ფლორენციაში და დავასკვენ, რომ ამ სილამაზის ქალი ეხლაც ბევრია ვენეციაში-მეთქი. ესევე შემიძლიან ვსთქვა გრაფინია გვიჩჩიოლზე, რომლის სახეც ვნახე რომელიც ფრანგის მხატვრის დიდ სურათში ჩართული. სურათი წარმოადგენს გვიჩჩიოლის მშვენიერ სასახლის ლამაზად მართულს დარბაზს; დარბაზს შუა სდგას თითონ გრაფინია და მოკრთალებით ეგებება ინგლისის გამოჩენილს პოეტს, როდესაც ბაირონი პირველად მიდის მასთან სადარბაზოდ. ამ ნახვის შემდეგ ორივეს გულში აღიგზნო ცეცხლი სიყვარულისა და ამიტომ ბაირონი დიდხანს ვერ მოშორდა ვენეციას. ბაირონმა ვენეციის ზედმოქმედებით დასწერა „ჩაილდ ჰაროლდის“ ერთი საუცხოო ნაწილი, პოემა „ბეპპო“ და მრავალი წვრილ-წვრილი ლექსი. მასთან ერთად ვენეციას ესტუმრა მეორე მგოსანი ინგლისისა, ავტორი „განმარტოებულ სულისა“, „ბეატრიჩე ჩენჩისა“ და სხვათა, შელლი. მაგრამ მის ნაწერებში ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით ვენეციის ზედმოქმედებით დაწერილს. სჩანს, ვენეციის წარსულსა და აწმყოს ვერ მიუზიდნია დიდებულის მწერლის მეტაფიზიკური და განყენებული ჭკუა-გონება. სამაგიეროდ ვენეციას დიდი ხოტბა შეასხა ფრანგთა მგოსანმა მიუსემ. ბაირონს გარდა, არავის იმდენი ნიჭით სავსე ლექსი არ უძღვნია ამ ქალაქისთვის, რამდენიც უძღვნა გერმანელმა პლიატენმა. იმისი „ვენეციური სონეტები“ საუცხოო რამ არის, სავსეა აქაურის ბუნების აღწერით და სრულია ხელოვნებით. ჰკითხულობ და არ გინდა თავის დანებება. ამ გულცივმა პოეტმა სრულიად შეიგნო ვენეციის ბუნების სიტურფე ხელოვნების მხრივ. დიაღ, ბაირონსა და მიუსსესავით გრძნობით სავსე უნდა იყო და თან რეალურის მიმართულებისაცა, ან ნამდვილი ხელოვანი, რომ სრულიად და სავსებით შეიგნო მიმზიდველობა ვენეციის ცხოვრებისა.

მართლაც-და, რა არის ვენეცია? ის არ ეკუთვნის არც ჩრდილოეთს და არც სამხრეთს იტალიას. მთელს იტალიაში ვერაფერს ვერა ჰნახავთ იმისთანას, რაც რომ ვენეციას მოგაგონებდეთ. ვენეციის სასახლეთა და ეკკლესიათა ხუროთ-მოძღვრებას არა ჰყავს ბადალი იტალიაში. ყოველს შენობას ეტყობა თავისებურობა, საკუთარი ხასიათი. ვენეციის ხუროთ-მოძღვრება სხვა-და-სხვა მხრით წააგავს ბიზანტიის, სიცილიის და არაბთა დროის ისპანიის ხუროთ-მოძღვრებასა. რაც-კი ვენეციელებს ძველს დროს ხელოვნებაში წარმატება გამოუჩენიათ, ყველაფერს აღმოსავლეთის იერი აქვს. მართლაც-და, გენუას გარდა, არც ერთს იტალიის ქალაქს არა ჰქონია ისეთი ხშირი მისვლა-მოსვლა აღმოსავლეთში, როგორიც ვენეციას. ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი იმისი, რომ იტალიის მშვენიერი ხელოვნება აჭრელებულია აღმოსავლეთის უშნოებითა და ულაზათობით.

წმ. მარკოზის მოედნის ჩამოდაღმით შეუწყვეტელი მოძრაობაა „სლავიანურ ქუჩაზედ“ (Riva dei schiavoni). ეს ქუჩა იწყება დოჟთა სასახლიდგან, გასდევს ზღვის პირს და თავდება ქალაქის ბაღთან, რომელიც გაშენებულია კარგა მოზრდილ კუნძულზედ. სლავიანური ქუჩა შესამჩნევად არ გამოცვლილა ამ საუკუნის განმავლობაში, რადგან ხალხის მისვლა-მოსვლა ამ ქუჩაზედ თითქმის ეხლაც ისეთია, როგორიც უნახავს ქ-ნ დე-სტალს და აუწერია თავისს „კო-

სხვა-და-სხვა ახალი გარდასახადი შეაწერონ და მეორეს მხრით სახელმწიფო გასავალს მოუკლონ და ხარჯი შეამცირონ. ეხლა დამტკიცდაო, ამბობს ეს გაზეთი, რომ

> სახელმწიფოს ფინანსთა გაუმჯობესებისთვის საჭიროა ჯერ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. მაშასადამე, ჩვენს მთავრობას ტვირთად აწევს ფრიად მძიმე საქმე, ერის კეთილდღეობისა და სოფლის ავლადიდების განკარგებისა.

დიად, სწორედ ამ მხრით შეიძლება რუსეთის ფინანსთა საქმის ფეხზედ წამოყენება და არა ათას ნაირის ხარჯის შეწერით, რომელიც ხალხის, უიმისოდაც დავრდომილის, კეთილდღეობას უფრო აფერხებს და აქვეითებს.

**

გაზეთი „Т. Л.“-ი ტფილისში ხოლერის მოსპობის გამო ამბობს, რომ შანაშვიდი უნდა გადავუხადოთ და ანდერძი ავუგოთ:

1) მკურნალების თთვიურს 300 მანათიანს ჯამაგირს.

2) ყოველისავე შეკვრა-შებოჭვას, აღკრძალვასა და დაჯარიმებას.

3) დეზინფექციას, ასენიზაციას, კარბოლკას და სხვას (უფრო-კი აფთიაქხანების დიდს დახლს).

4) გაზეთ „Новое Обозрѣніе“-ში დაბეჭდილს „ოქროს მამალს“, რომლის გაჭიანურებითაც ხოლერის დროს ამ გაზეთმა სული ამოართვა საცოდავს მკითხველებს.

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲛᲐᲮᲔᲑᲘ

(დასასრული *)

სამის დღის შემდეგ კვლავ წავედით ჩაი-შაქრის დასარიგებლად. ამ ჯერობაზედ ის ოჯახობანი ვნახეთ, რომელნიც დასახლებულნი არიან ხოჯივანქისა, ლაზარევისა და ჯანდარმის ქუჩებზედ. აქ ოჯახობანი სცხოვრობენ ორ ადლ სიგანიან და სამ ადლ სიგრძიან ქოხებში, რომელსაც თითო კარები აქვს; $^3/_4$ ოთახისა ფიცრის ტახტს დაუჭერია, რომელზედაც ფალას-ფულასია გაშლილი; ერთს კუთხეში წყლის ლიტრა სდგას, მეორეში—ფალას-ფულასივე აგროვია,—აი მთელი მოწყობილობა იმ სადგომისა, სადაც 4—7 სულს შეუფარებია თავი. ამ ქოხმახებში მცხოვრებ დედაკაცების უბედურება ძნელად წარმოსადგენელია: ერთი ავადმყოფია, მეორეს წვრილ-ფეხა ყმაწვილები ახვევია, მესამესათვის ქმარს თავი დაუნებებია, მეოთხეს გარყვნილი, გამოუსადეგარი შვილი ჰყავს, რომელსაც მთელი ოჯახი ბედის ანაბრობაზედ დაუტოვებია... ეს დედაკაცები დღეში 6-დგან 10 კაპიკამდე ჰშოულობენ ყაითან-ჩაფარიშების ქსოვით.

მაგრამ იმ ოჯახმა-კი, რომელიც მესამე ჯერობაზედ ვნახეთ, ჩემზედაცა და ჩემთან მყოფ სხვებზედაც საშინელი მოქმედება იქონია. ამ ოჯახში მოხუცებული დედაა და სულით ავადმყოფი ქალიშვილი. სცხოვრობენ იმ ქოხში, რომელიც თვით მოხუცებულს დედაკაცს აუშენებია, ერთს, თავისის საკუთარის ხელით. ამ 6—7 წლის წინად ეს მოხუცი თავისის ყმაწვილის ქალითურთ ბედნიერი ყოფილა, გაჭივრება არა სდგომია. მაგრამ გაუთხოვებია ქალი და იმათის ბედნიერების ჩარხიც უკუღმა დატრიალებულა: ქმარმა მხოლოდ რამდენსამე თთვეს იცხოვრა თურმე თავისს ცოლთან, ერთს მშვენიერს დღეს მოაგროვა მთელი ავლა-დიდება, სიდედრისა და ცოლის ფულები მოჰხვეტა და აღარც იმისი გზა იციან, აღარც კვალი. მისი ცოლი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ქმარი, ჭკუიდგან შეიშალა. მოხუცებული დედა, რომელსაც საცხოვრებელი აღარა ჰქონდა-რა და შეშლილი ქალიც შესანახმოსავლელი ჰყავდა, მოწყალებითა სცხოვრობდა როგორც იყო იმ დრომდე, ვიდრე სახლის პატრონმა ოთხივ-კუთხივ გზა არ უჩვენა. კიდევ კარგი, რომ ერთმა კეთილმა კაცმა მოხუცს ერთის ხელის დადების ოდენა მიწა აჩუქა, სადაც მას ქოხი აქვს აშენებული. ვინ მოსთვლის, რამდენი უძილო ღამე, რამდენი ცივი დღე გაატარა ამ ორმა სულმა წვიმას ქვეშ, ვიდრე მოხუცი ბუნებრივს, ღვთივ გამოგზავნილს ტალახს იშოვნიდა, რომ შენობისათვის ხელი მიეყო! ბოლოს იშოვა საკმარისი ტალახი, ქოხი ააჩონჩხა და იქ გადასახლდა ქალითურთ. აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, ეს ორი სული მეზობლების მოწყალებითა სცოცხლობს.

ქოხში შევედით. არასოდეს არ მინახავს ასეთი ნაღვლიანი, ასეთი კაეშნის მომგვრელი სადგომი: შეშლილი ფანჯარასთან იჯდა; დაჰყურდნობოდა ზედ და თავისის უგონო, უძრავის თვალებით შორს, ქუჩაზედ გაიყურებოდა. ეს უბედური დედაკაცი ელოდდა თავისს მუხთალსა და მოღალატე ქმარს, რომელიც უყვარდა კიდეც და ეხლაც გაგიჟებით უყვარს... მთელი მისი სახე მოლოდინად იყო გადაქცეული, სასოწარკვეთილ მოლოდინად... ის იყო გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ქვითინი მოგვესმა. ისა სტიროდა და მერე ისე მდუღარედ, რომ გული ჩაგვეთუთქა... ყველანი აცრემლიანებულები გამოვვარდით გარეთ... როგორც მეზობლებმა გვითხრეს, ღღეში რამდენჯერმე აუტყდება თურმე უბედურს ეს ქვითინი, როცა მოთმინებას დაჰკარგავს და სასო წარეკვეთება.

—

ვინ მოსთვლის, რამდენია ქვეყანაზედ ასეთი უბედური! რამდენი იტანს შიმშილს წელიწადში, თუ მეტს არა, 150 დღეს მაინც... ხოლერობის დროს ზოგიერთს ღარიბ-ღატაკს მუქთი სადილი და ჩაი-შაქარი ეძლეოდა; ბევრი ტანთსაცმელსაც მიაწვდიდა ხოლმე (მეტადრე ისინი, ვისაც თავი თვალით უნახავს იმათი სიღარიბე). მაგრამ კიდევ რამდენი ღარიბია დარჩენილი უშმწეოდ! ავლაბრის ქოხმახის მცხოვრებნი თითქმის 5-დგან 12 კაპიკზედ მეტს ვერ იღებენ დღეში. ამ ფულით უნდა გადაიხადონ სახლის ქირა, კუჭი უნდა გაიძღონ, წყალი იყიდონ, ტანთ. შეიმოსონ. დიდად ხელ-მოკლეებს ჯერ-ჯერობით მუქთი სადილი აქვთ, უსასყიდლო წყალი, ერთხელ 3 გირ. შაქარი და $^1/_8$ ჩაი მიიღეს. მაგრამ აგერ, საცაა სასადილოებიც გაუქმდება, ჩაი-შაქარს აღარავინ დაურიგებს, ზამთარი კარებზედ გვადგას და იმათ-კი არა აქვთ-რა, რომ ტანი დაიფარონ...

ადვილად შეიძლება იმათი შველა: ბევრია ჩვენ შორის იმისთანა, რომ ფულს გადაჭარბებით ჰხარჯავს. დეე მოიგონონ და გაიხსენონ, რომ მრავლად არიან ისეთი ღარიბნიც, ლუკმა პურს მოკლებულნი, რომელთა ყმაწვილები, სიცივით აკანკალებულნი, სარდაფებსა და ქოხმახებში თავისს პაწია ხელს იწვდიან სამოწყალოდ. თავისს ქონებას რომ რამდენიმე მანათი მოაკლონ, არა დაუშავდებათ-რა, ამ მანეთებით-კი იმდენი შესდგება, რომ რამდენიმე ასმა ოჯახმა ტანთ შეიმოსოს და ისაზრდოოს, სული ამოითქვას...

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲐᲑᲣᲨᲔᲠᲘᲡᲐ

ნორტგემპტონის ლიბერალთა და რადიკალთა საზოგადოების მიმართ.

„დიდის ხნის განმავლობაში კანონმდებლობა ღონისძიება იყო ზოგიერთ წოდებათა გაბედნიერებისა და დანარჩენის ერის გაღატაკებისა და გაუბედურებისათვის. ხოლო ის, რის შესახებაც უსირცვილოდ ამბობდნენ „უფლებაა მცირეოდენთაო“, ბოროტება იყო უმრავლესობისათვის. ამ ბოლოს დროს ბევრი რამ გაკეთდა ასეთ დამღუპველ წეს-წყობილების შესაცვლელად; ჩვენ მხოლოდ ეხლა მივუახლოვდით პირველ მიჯნებს ჭეშმარიტის დემოკრატიისას: ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენი კანონები და დაწესებულებანი ეხლანდელს დროს შეეფერებოდეს. ამ ექვსის წლის უთავბოლობამ კონსერვატორებისამ უსარგებლოდ არ ჩაიარა. ოპოზიციის ცივმა ჩრდილმა ძალა და ღონე შეჰმატა ამომრჩეველთაც და არჩეულთაც. ის, რაც 1880 წელს ლიბერალთა დასი იყო, ახლა რადიკალთა დასად გარდიქცა და ჩვენი მეთაურები მიხვდნენ, რომ, თუ უნდათ შეირჩინონ თავიანთი ძლიერება, ჩვენს აზრებს უნდა გაუწონ მომხრეობა. ჩვენ ახლა ბატონები ვართ ჩვენს საკუთარს სახლში, რომლიდამაც გაძევებულ იქმნენ უძლური ლიბერალები; ის უძლური ლიბერალები, რომელნიც აფერხებდნენ სადემოკრატო წინ-სვლას და ჭგონებდნენ, ვითომ ჩვენი დასი იმიტომ შესდგა მხოლოდ, რომ იმათ ჯამაგირები არ მოაკლდეთ, თუნდ ათასჯერაც რომ დაარღვიონ ის ვალდებულებანი, რომელიც იტვირთეს ამომრჩეველთა წინაშე“.

შემდეგ ლაბუშერი განმარტავს ჯერ თავის აზრს იმის შესახებ, რომ დედოფალი გაერია ახალ სამინისტროს შედგენის საქმეში და მერე—რადიკალთა პროგრამის გამო ლაპარაკობს.

„დღევანდელ სამინისტროს სურვილი გამოთქმული აქვს ბოლოს ტოლ პროგრამაშიო,—განაგრძობს ავტორი წერილისა. თქვენცა, მეცა და ბევრნი სხვა რადიკალნიც უფრო კმაყოფილნი ვიქმნებოდით, რომ ეგ პროგრამა ცოტა ვრცელი და გაბედული ყოფილიყო. ჩვენ იმ პროგრამას ისე ვუყურებთ, როგორც სულ მცირედს ნაწილს იმისას, რაც სასურველია გაკეთდეს. იმ პროგრამის კიდევ უფრო მეტად შემოკლება ყოვლად შეუძლებელია. ის ხიდი უნდა იყოს უფრო ვრცელისა და გაბედულის პროგრამის შესასრულებლად. ამიტომ ჩვენ უნდა მხარი მივცეთ ყოველ იმ სამინისტროს, ვინც უნდა იყვნენ იმ სამინისტროში მინისტრებად, ოღონდაკი მზად იყოს, ის მცირედიც არის სურვილი ჩვენი განახორციელოს. არავითარი საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ ეხლანდელი სამინისტრო არ შეასრულებს თავის დაპირებას, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკაში კეთილს განზრახვას ადამიანისას არავითარი ფასი არა აქვს, ხოლო, როგორც წარსული გამოცდილება გვაუწყებს, სახაზინოს სკამს ისეთი ჰაერი არტყია, რომელიც არღვევს და ხრწნის ამომრჩეველთა წინაშე ნატვირთს სხვა-და-სხვა ვალდებულებას. ჩვენ ნება გვაქვს მოვთხოვოთ ჩვენ მეთაურებს მეტი მხნეობა, გაბედულება და დემოკრატობა. ოღონდ ამის იმედი იყოს, თორემ არავითარს სამინისტროს არ ექმნება ისეთი თავგამოდებული მომხრეობა, როგორსაც გავუწევ მე „სამეფო გვირგვინის დღევანდელ ყმათა“. 1880 წლის პარლამენტში ჩვენ გვყავდა ლიბერალთა მთავრობა, რომლის წარმომადგენელთა უმეტესობა დღესაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში სდგას. სამინისტრო მაშინ ძალ-მომრეობის პოლიტიკას დაადგა ირლანდიაში. მანვე ბარბაროსულად შეუსია ჯარები ეგვიპტეს. მაშინ მე, თქვენის თანხმობით, წინააღმდეგი გავუხდი ყოველსავე ამას.

მინისტრები ჰომრულის წინააღმდეგნი იყვნენ და ფულის უანგარიშოდ ხარჯვას-კი კვერს უკრავდნენ. მე თეთრი კენჭი ჩავაგდე პირველ

---

*) იხ. „ივერია“, № 196.

რინნაში“. მკითხავები და სხვა-და-სხვა გაიძვერა-მატყუარანი პირველად აქ იჩენენ ხოლმე თავსა, ჰმართავენ სხვა-და-სხვა სანახავს, ჰქადაგებენ ამა თუ იმ საგანზედ და ამითი აკმაყოფილებენ თავ-მოყრილ ხალხის ცნობის-მოყვარეობას. ესაუბრებიან დინჯად, წყნარად და ისეთის გატაცებით, რომ ხალხი მთლად სმენად გადაიქცევა ხოლმე, მათს ლაპარაკს ხელს არ უშლის და, პირ-იქით, ისეთის მოწიწებით შეჰყურებენ მოსაუბრეს თვალწარბში, თითქოს მათი მჭერმეტყველება უეჭველი სიმართლე იყოს. ეს გარემოება ძლიერ ჰშველის უცხო ქვეყნელს, რომ ადვილად გაიცნოს აქაური მდაბიო ხალხი და მათი ზნე-ჩვეულება.

ქალაქის ბაღი, რომელთანაც თავდება სლავიანური ქუჩა, კოპწიაა და კარგა მოზრდილია. ალვის ხეებისაგან და ზამთარ-ზაფხულ მწვანედ მობიბინე მცენარეთაგან გაკეთებულია მშვენიერი ხეივნები და სხვა-და-სხვა საჩრდილობელი. ბაღის ერთის მხრიდგან მშვენიერი სანახავია ლურჯად მოელვარე ზღვა, ეკლესია San Giorgio Maggiore, რომელიც მარტოდ მარტო სდგას შუა ზღვაზედ ძლიერად მორჭმულ ხომალდივით. ვუყურებდი მზის ჩასვლას და თვალ-წინ მეხატებოდა „ჩაილდ-ჰაროლდში“ აღწერილი მზის ჩასვლის სურათი.

მთვარემ და ხარი-პარია ვარსკვლავმა კაშკაში დაიწყო მოწმენდილს ცაზედ; დასავლეთის ცის კიდე-კი გამოსცემდა ხან ჯიგარ-წითელს და ხან მოყვითანო ფერს. საუცხოო და აღმაფრთოვანებელი რამ იყო ეს სურათი: ცივი ნიავი ნაზად ანძრევდა ალვის ხეებს, შორს, სადღაც მენავე ერთობოდა მანდოლინის დაკვრით და ამავე დროს ზღვის სივრცეს აწვებოდა მრისხანე და ნისლიანი ბინდი საღამო ჟამისა. მაშინ ჩავჯექი გონდოლაში და გავსწიე ქალაქს, რომ მთვარის შუქზედ დამტკბარვიყავ ვენეციის ცქერით... მართლაც-და თვალ-წარმტაცი იყო ეს სურათი, რომლის შვენება უფრო ძლიერდებოდა ყველგან გამეფებულის მყუდროების გამო. არავითარი ჟივილ-ხივილი არ არის ვენეციის ქუჩებში, რაც ასე გულს აწყალებს სხვა დიდ ქალაქებში; აქ ვერ შეჰხვდებით მორახრახე ფაიტონებს და ეტლებს, რადგან ვენეციის ქუჩა გახლავთ წყალი და არა ქვაფენილი. ისმის მხოლოდ ხმაურობა მენავეთა, ხათქა-ხუთქი ზვირთებისა და მენავეთა ნიჩბების წყალში ტყლაშა-ტყლაშში. ეს მყუდროება დღისით მოსაწყენია, ღამით-კი სასიამოვნოა. ამ დროს დაიწყებთ გონდოლით სეირნობას და ეძლევით სრულს ნეტარებას. მე კარგა ხანს დავცურავდი ქუჩა-ქუჩა გონდოლით და თვალს ვავლებდი ძველს და ჟამთა ვითარებისაგან გაშავებულს სასახლეებს და ვიგონებდი წარსულს, რომლითაც არის ვენეცია სახელ-განთქმული. რაც უფრო ვიწრო ქუჩებში შევდიოდი, იმდენად უფრო მოწყენილი მეჩვენა სახლები, შავ-გონდოლებში მსხდომნი და ჩუმის ნაბიჯით ვიწრო ტროტუარებზედ მოსიარულენი. ტროტუარები გაკეთებული სახლების კედლის ძირში და შეერთებულია პატარ-პატარა ხიდებით. მთვარის შუქს ალაგ-ალაგ თუ მოჰკრავდით თვალს, ასე რომ არე-მარე რაღაც სიბნელით იყო მოცული და ჩემი გონდოლა ჩრდილში დასცურავდა. სიბნელით მოცულმა არე-მარემ ცოტა არ იყოს დამაღონა, მაგრამ ამ გარემოებაში ნაღველიც-კი თითქოს სიამოვნებაა კაცისთვის და მეც უკუ ვაგდე ფიქრები და თავი მივეც ამ გრძნობას—გულზედ შემოწოლილს ნაღველს. აგერ კიდეც გამოვედით ვიწრო ქუჩებიდგან „დიდ-არხში“ და თვალ-წინ გადამეშალა ნათლად და სრულის სინამდვილით ის მომხიბლავი სურათი, რომელსაც მარტო ვენეციაში თუ იხილავთ. სახლები ვენეციისა და იმოდენა სივრცე ზღვისა მთლად ვერცხლის ფრადა ჰბრწყინავდა მთვარის შუქზედ. ფარნებით განათებული ათასამდის გონდოლა მისცურ-მოსცურავდა ქუჩებში, კოპწია მოაჯირებიდგან გადმოიყურებოდნენ მომცინარნი და მოტაკტიკე-მომღერალნი კეკლუცნი ვენეციისანი, ჰაერში გაისმოდა წყნარი ხმა გულ-საკლავის მუსიკისა. ეხლა-კი მივხვდი, რაც ყოფილა „ღამე ვენეციისა“, და ვუბძანე მენავეს, გაჩერებულიყო. კარგა ხანი ვუყურებდი ერთს სასახლეს, რომლის მარმარილოს მოაჯირზედ მარტოდ-მარტო იდგა მშვენიერი signorine (ყმაწვილი ქალი) და მოუთმენლად იყურებოდა ხან ლაჟვარდ ცისა და ხან არხისაკენ, ხიდ გიალტოს მხრივ. გაიარა ნახევარმა საათმა და ის იქვე იდგა; უძრავად ამ დროს ის ჰგავდა მიმკრთალებულს ზამბახს და ნარნარის სილამაზით მოგაგონებდათ რაფაელის ანგელოზს. აგერ მოახლოვდა გონდოლა, რომელსაც ასე მოელოდა, და სიხარულისაგან აკანკალდა. მარმარილოს კიბეზედ გადმოხტა ყმაწვილი კაცი, რომელსაც მანდოლინა ეჭირა, და გაჰქრა უზარმაზარს სასახლეში. მასთან ერთად თვალიდგან დავკარგეტურფა signorine. შურით ალვსილმა გავსწიე საოპერო თეატრში, რომ მუსიკის ხმით დავმტკბარიყავ და ეს ამბავიც გულიდგან გადამვარდნოდა.

ა. ლ.

საგნის ყუთში, ხოლო—შავი მეორისაში. ამ საგნების შესახებ ჩვენი მეთაურნი ახლა ჩვენი მომხრენი არიან და თავიანთი წინანდელი აზრები შეცდომად მიიჩნიეს. ამიტომ იმედი მაქვს, ყველაფერში თანხმანი ვიქნებით ეხლანდელის სამინისტროსი, რომელმაც გაიმარჯვა რადიკალების შემწეობით და რომელიც-კი არ გაინაპირებს იმათ, არამედ უფრო დაიახლოვებს მით, რომ თვით მინისტრებიც გარადიკალდებიან. არ-კი მგონია, მაგრამ, თუ ლიბერალთა მინისტრები სხვაფრივ მოიქცნენ, ისევე ვიმოქმედებ, როგორც ვმოქმედობდი 1880 წლის პარლამენტში, იმიტომ რომ ჩემი დევიზია—მოქმედებანი და არა კაცნი. როგორც წარმომადგენელი რადიკალებისა, მე ვაცხადებ, რომ ნურავითარს სამინისტროს, თუ არ რადიკალთა მიმართულებისას, რადიკალთა მომხრეობის იმედი ნუ ექმნება. იმისი რაღა მოგახსენოთ, რომ მე სულითა და გულითა ვარ მონდომებული, ირლანდიელთათვის განზრახული სასიკეთო და დიდ-სულოვანი რეფორმა, რაც შეიძლება, მალე განხორციელდეს. თქვენცა და მეც ირლანდიის განთავისუფლების მომხრენი ვიყავით ჯერ ისევ მაშინ, როცა ლიბერალთა მომეტებული ნაწილი ძალ-მომრეობას ჰქადაგებდა ირლანდიელთა შესახებ.

იმპერიის საბედნეროდ და ადგილობრივ მმართველობის საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის საჭიროა, რომ ირლანდია უჩვენოდ განაგებდეს თავის საკუთარს საქმეებს, ხოლო ჩვენს საქმეებს ჩვენ განვაგებდეთ უიმათოდ.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

პეტერბურგს 8 და 9 სექტემბერს ავად გახდა 32, გარდაიცვალა 12, მორჩა 42.

მოსკოვს 7 სექტემბერს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 9, მორჩა 8: მთელს გუბერნიაში გარდაიცვალა 1; ეკატერინოსლავს 7 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 24, მორჩა 48.

ყაზანს 5, 6 და 7 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 8; მთელს გუბერნიაში კიდევ ავად გახდა 357, გარდაიცვალა 192.

კიევს 7 სექტემბერს ავად გახდა 35, გარდაიცვალა 19, მორჩა 40; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 57, გარდაიცვალა 18, მორჩა 17.

კურსკს 7 სექტემბერს ავად გახდა 28, გარდაიცვალა 9, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 229, გარდაიცვალა 92, მორჩა 57.

ნიჟნი-ნოვგოროდს 7 სექტემბერს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, მორჩა 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4, მორჩა 12.

პოლტავას 6 სექტემბერს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 6.

სარატოვს 7 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 726, გარდაიცვალა 382.

ტამბოვს 8 სექტემბერს ავად გახდა 180, გარდაიცვალა 82, მორჩა 193.

ტულას ერთის კვირის განმავლობაში 29—30 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 88, გარდაიცვალა 37, მორჩა 76.

უფას 4—8 სექტემბერს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 9, მორჩა 10.

ხერსონს 7 სექტემბერს ავად გახდა 64, გარდაიცვალა 32; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 54, გარდაიცვალა 16.

ნოვოჩერკასკში 5 და 6 სექტემბერს გარდაიცვალა 2, მორჩა 4; ტაგანროგს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 367, გარდაიცვალა 167, მორჩა 331.

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ორს თუმანს სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად, შეგრებილს ჩემ მიერ ბათუმში, „ნიტო“-ს კანტორის მოსამსახურეთა შორის. აი შემომწირველთა სია:

ზაქარია დეკანოზიშვილი 3 მ., მისელ ბიტტო 1 მ., ბესარიონ კალანდაძე 1 მ., გერონტი კალანდაძე 1 მ., ნიკო გეგენავა 1 მ., ტიმოთეი შეფცოვი 1 მ., კონსტანტ. კურაკო 1 მ., იოანე გერგასი 1 მ., ფილიპე ღლონტი 1 მ., აკოფ ასტვაცატუროვი 1 მ., კასილ ფედოროვი 65 კ., იოანე ლორია 65 კ., პეტრე ესაკეი 50 კ., ალექსი იახონტოვი 50 კ., გიორგი პაპასკირი 50 კ., ტიმოთეი გეგეჭორი 50 კ., ნიკო თოდუა 50 კ., კასილ კუზმინი 50 კ., კასილ იუტინი 50 კ., შორფირე ჯაველიძე 50 კ., მისელ სიორიძე 50 კ., ანტონ კანდორო 50 კ., ლეონ კატლიარეესკი 35 კ., N N 50 კ., სიმონ შალოკეტკი 30 კ., ანდრია ლოლუა 30 კ., ზურაბ მგალობლიშვილი 25 კ., სულ 20 მ.

ფილიპე ღლონტი

დეპეშა

16 სექტემბერი

პეტერბურგი. „Бирж. Вѣдом.“-ს შეუტყვია, რომ შეძლების კვალობაზედ გაწერილ ხარჯის შემოღების პროექტი არ იქმნა შეწყნარებულიო.

„Новое Время“ იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი, რომლის ძალითაც რუსეთში უნდა დაარსდეს, სულ ცოტა, ხუთი სამეურნეო სასწავლებელიო.

გაზეთი „Новости“ სწერს, რომ გზათა სამინისტრო მოწადინებულია წესსა და რიგში მოიყვანოს ის სამუშაონი, რომელსაც სახელმწიფო თითონ აწარმოებს თავის ხარჯითა და თავის კაცთა შემწეობით, განაკარგოს გზა-ტკეცილებისა და წყლის გზების შეკეთების საქმე, განაძლიეროს სანავთსადგურო შენობათა წარმოება და შეამციროს ამ უწყების საზოგადო ხარჯი.

„С.-Петерб. Вѣдом.“-ი იუწყება, რომ ნავთის მწარმოებელთა მორიგი კრება ოქტომბრისათვის იქმნა გადადებულიო.

მოსკოვი. ამ ახლო ხანებში გარდაცვალებულმა ს. მ. ტრეტიაკოვმა შესწირა მოსკოვს სამხატვრო გალერეია, რომელიც ღირს 500,000 მანათზედ მეტი.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტ.

	მყიდველსა.	გამყიდველსა.	გაყიდულსა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,87	7,92	— ,,
ტამოჟნის კუპონები	157¾	158½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	236
—მეორისა	— ,,	— ,,	218
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	191½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	102¼	— ,,	— ,,
5%	99,87	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	102¼	— ,,	— ,,
5%	99,87	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98,12	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 ₾. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გადისაითს.

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—109)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

იოსებ ი. ვოკიელოვის მაღაზიაში

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲨᲘ

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

ᲐᲡᲝᲒᲘᲗ 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—7)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ა. ვ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ.

(50—5)

ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.



ტფილ. გამოფენა.

ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти, пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачествен; ность матеріаловъ.

ᲐᲚᲐᲚᲝ ᲗᲣᲗᲐᲔᲕᲘᲡ

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—35)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Сентября 1892 г. სტამბა მ. ᲨᲠᲐᲛᲘᲡᲐ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲫᲔ.